პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2012 წლის I კვარტალი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის I კვარტალში 269 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 62 პროცენტით აღემატება 2010 წლის I კვარტალის დაზუსტებულ, ხოლო 55 პროცენტით - 2011 წლის შესაბამისი პერიოდის წინასწარ მონაცემს.

დიაგრამა №1



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს მოცემული მაჩვენებლისა და საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2010-2012 წლებში. 2012 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 321 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011*				2012*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სულ	**167**	**208**	**226**	**214**	**174**	**203**	**266**	**337**	**269**
მათ შორის:									
ინვესტიციების მთლიანი შემოდინება	256	402	296	349	271	285	375	436	321
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-89	-194	-71	-135	-97	-81	-109	-98	-51

*წინასწარი მონაცემები.

2012 წლის I კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 61 ქვეყნიდან განხორციელდა. 2011 წლის I კვარტალში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 56, ხოლო 2010 წლის შესაბამის პერიოდში 53 ქვეყანა შეადგინა.

ცხრილი №2 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2010-2012 წლებში.

ცხრილი №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2010-2012* წწ.

	2010				2011*				2012*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	30	6	35	41	35	55	35	34	34

* წინასწარი მონაცემები

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2010-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

2012 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3
ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012* წლის I კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011*				2012*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**214.1**	**173.7**	**203.4**	**266**	**337.5**	**269.4**
მათ შორის:									
გერმანია	8.0	3.1	-0.1	1.8	5.6	7.4	6.7	4.9	131.1
თურქეთი	33.3	12.6	24.7	21.2	13.9	22.0	32.0	9.5	32.2
გაერთიანებული სამეფო	9.1	23.7	12.4	13.8	28.7	4.0	4.9	-0.4	27.3
ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	-1.7	37.3	6.9	-2.3	19.6	9.7	-15.4	27.0	21.7
იაპონია	15.7	18.3	3.8	-20.2	-8.6	3.4	10.0	17.3	21.6
ლუქსემბურგი	3.3	3.0	-0.7	1.4	1.8	1.6	5.1	33.4	19.8
დანარჩენი ქვეყნები	98.8	110.3	178.6	198.4	112.7	155.3	222.7	245.8	15.7

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №3



* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის I კვარტალში 94 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე გერმანია იმყოფება 49 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 12 პროცენტით, მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 10 პროცენტით, მომდევნო პოზიციებს ვირჯინის კ-ები (ბრიტ.) და იაპონია იკავებს 8-8 პროცენტით და ლუქსემბურგი - 7 პროცენტით.

დიაგრამა №4



* წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2012* წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011*				2012*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**214.1**	**173.7**	**203.4**	**266.0**	**337.5**	**269.4**
მათ შორის:									
დამამუშავებელი მრეწველობა	52.3	72.9	32.2	17.9	72.1	37.1	18.3	53.2	64.5
საფინანსო სექტორი	10.4	26.0	53.2	17.8	39.8	34.3	49.5	53.9	62.5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.0	33.6	38.5	128.0	1.8	56.0	16.5	56.6	38.1
უძრავი ქონება	15.7	39.6	52.6	11.3	7.0	49.0	21.5	44.7	20.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა	3.4	18.6	10.0	21.5	10.7	-7.6	9.9	24.4	19.5
ენერგეტიკა	16.0	-5.7	4.9	6.6	19.9	-26.9	86.1	79.1	18.3
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	3.3	2.9	0.8	1.7	1.6	1.9	5.7	4.4	5.6
სასტუმროები და რესტორნები	22.7	-10.3	4.1	0.7	3.4	8.9	2.5	-0.8	4.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.1	-0.2	0.0	1.3	3.9	1.1	13.5	-0.7	3.6
დანარჩენი სექტორები	27.6	30.9	29.3	7.3	13.3	49.7	42.5	22.7	32.1

* წინასწარი მონაცემები.

2012 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში განხორციელდა და 64 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012* წლის I კვ. (%)



* წინასწარი მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011–2012 წლების კვარტალური მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას შესაბამისი პერიოდის წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.